განკარგულება:**g-81.81222506**
თარიღი:**08/09/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №43

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში თამარ მეფის ქ. N 28 ძველი პოლიციის შენობის (ს/კ89.03.22.014) პირველ სართულზე მდებარე 80 კვ.მ ფართის კომერციული საქმიანობისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით- იჯარით გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეის ქონების პრივატიზებისა, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურს განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 36-ე მუხლის და უძრავი ქონების შეფასების შესახებ შპს ,,აქტივის'' 2022 წლის 25 ივნისის დასკვნის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. თანხმობა მიეცეს, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების- ქალაქ ცაგერში თამარ მეფის ქ. N 28 ძველი პოლიციის შენობის (ს/კ89.03.22.014) პირველ სართულზე მდებარე 80 კვ.მ ფართის კომერციული საქმიანობისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით- იჯარით გადაცემაზე.

2. შპს „აქტივი''-ს აუდიტორის ომარ დოღონაძის აუდიტორული დასკვნის საფუძველზე საწყისი საიჯარო ქირა განისაზღვროს წლიურად 1000 (ათასი) ლარი. თვეში 84 (ოთხმოცდაოთხი) ლარი.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. N65, ტელ: +995 551179741
ელ.ფოსტა: tsagerissakrebulo@gmail.com